



სახელმწიფო სერვისების  
განვითარების სააგენტო

## სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრისთვის დიზელ გენერატორი  
(რეზერვის ორ წყაროიანი ავტომატური გადამრთველით და  
თანმდევი მომსახურებით)  
(CPV – 31120000)

### *სატენდერო დოკუმენტაცია*

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქციატენდერში მონაწილეთათვის
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3. ტექნიკური პირობები
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დანართი #1 –ფასების ცხრილი
6. დანართი #2 – რეკვიზიტები

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

**1.1.** ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

**1.2.** სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

**1.3.** ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**1.4.** დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**1.5.** სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**1.6.** ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**1.7.** პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

**1.8** სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრედენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხი“ მეშვეობით.

საკონტაქტო პირები:

მარინე გვრიტიშვილი, ტელ: 2 40 10 10-3114; 5 (77) 615 515; ელ ფოსტა: [m.gvritishvili@sda.gov.ge](mailto:m.gvritishvili@sda.gov.ge)

გიორგი მესხი, ტელ: 2 40 10 10-3116; 5 (91) 12 13 13; ელ. ფოსტა: [g.meskhia@sda.gov.ge](mailto:g.meskhia@sda.gov.ge)

## **2.1 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება;**

## **2.2. ანგარიშსწორების პირობები:**

2.2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარისწორებით ლარში.

2.2.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

2.2.4. მიმწოდებლის მიერ საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება შემდეგი ფორმით: შემსყიდველის მიერ მოხდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 70%-ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საავანსო გარანტიის საფუძველზე. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. თეთრ სიაში დარეგისტრირებულ პრეტენდენტს უნახვევრდება გარანტიის ოდენობა.

2.2.5. დაფინანსების წყარო: 2016-2017 წლის სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

## **2.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება.**

## **2.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი:**

2.4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში;

2.4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

## **2.5 ფასწარმოქმნის ადეკვატურობა**

2.5. „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს/ატვირთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული ნებისმიერი პირის (წამოდგენილი უნდა იქნას უფლებამოსილების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშგაქტურით ან სასაქონლო ზედნადებით (ინვოისით) (წინასწარი ინვოისის წარმოდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს დეტალური გაანგარიშება 2.4.2. პუნქტით გათვალისწინებულ ადგილამდე მიწოდების ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, რისი გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ

დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას (დოკუმენტის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

## **2.6 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:**

**2.6.1** ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად;

**2.6.2.** რეკვიზიტები დანართი №2-ის შესაბამისად (ქვეკონტრაქტორის შემოთავაზების შემთხვევაში დანართი #2 ივსება ქვეკონტრაქტორის რეკვიზიტების შესაბამისადაც);

2.6.3 შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დახასიათება ან წერილობითი თანხმობა, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის „ტექნიკური პირობების“ დაკმაყოფილების შესახებ;

2.6.4 შესყიდვის ობიექტის ან მისი რომელიმე ნაწილის მიწოდებასთან დაკავშირებულ ქვეკონტრაქტორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებული ხელშეკრულების ასლი ან თანხმობა (სადაც დამატებით მითითებული იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მის მიერ მისაწოდებელი ვალდებულება და მოცულობა), ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

2.6.5 პრეტენდენტს ან მის ქვეკონტრაქტორს უნდა გააჩნდეს წინამდებარე ტენდერით მოთხოვნილი ანალოგიური შესყიდვის ობიექტის (ცხრილი #1-ში მითითებული იგივე ან ანალოგიური შესყიდვის ობიექტის მიწოდების (ქვეკონტრაქტორის შემთხვევაში მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში)) მიწოდების გამოცდილება, რომლის შესახებაც უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შემსყიდველის/დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

2.6.6 უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ინფორმაცია, რომ პრეტენდენტს ან მის ქვეკონტრაქტორს გააჩნია შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (პრეტენდენტი ვალდებულია ნებართვა მატერიალური სახით წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში)

**შენიშვნა:** პრეტენდენტს უფლება აქვს სატენდერო წინადადებაში, შესყიდვის ობიექტის დახასიათებისას, გამოიყენოს უცხო ენაზე (ინგლისური ან რუსული) შესრულებული ტერმინოლოგია.

### 3. ტექნიკური პირობები

სააგენტოს მონაცემთა დამუშავების ცენტრის დამოუკიდებელი დუბლირებული უწყვეტი ენერგომომარაგების სისტემით უზრუნველყოფის მიზნით დიზელ-გენერატორის (რეზერვის ორ წყაროიანი ავტომატური გადამრთველით და თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს არსებული მონაცემთა დამუშავების ცენტრის უზრუნველყოფა დამოუკიდებელი დუბლირებული უწყვეტი ენერგომომარაგების სისტემით. ამ პროექტის ფარგლებში სასერვეროს ენერგომომარაგების არსებული სისტემა უნდა აღიჭურვოს დამატებითი დიზელ გენერატორით და რეზერვის ავტომატური გადამრთველით, რომელიც უზრუნველყოფს ორ დიზელ გენერატორს შორის (ერთი არსებული და ერთი მოწოდებული) ავტომატურ გადართვას, და სასერვეროს ინფრასტრუქტურაზე კვების მიწოდებას არსებული კაბელის საშუალებით. მოსაწოდებელი უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- დიზელ გენერატორი (რეზერვის ორ წყაროიანი ავტომატური გადამრთველით და თანმდევი მომსახურებით)- 1 ცალი

#### სისტემის კომპონენტების მიმართ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები ცხრილი #1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის მახასიათებელი	რაოდენობა
<p><b>დიზელ გენერატორი (რეზერვის ორ წყაროიანი ავტომატური გადამრთველით და თანმდევი მომსახურებით)</b></p>	<p><b>დიზელ გენერატორი გარსაცმით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მაქსიმალური გაბარიტული ზომები: 1300 x 1900 x 2500მმ. (სიგანე x სიმაღლე x სიგრძე)</li> <li>• ნომინალური ძაბვა: 3ფაზა 400ვ. , 50Hz</li> <li>• ძაბვის რეგულირების ცდომილება: მაქსიმუმ ±0,5%</li> <li>• გამომავალი ძაბვის ფორმა: სინუსოიდა;</li> <li>• გამომავალი სიმძლავრე (მინიმუმ): 80კვა / 64 კვტ.</li> <li>• მაქსიმალურ სიმძლავრეზე მუშაობა: მინიმუმ +5% 1 საათის განმავლობაში</li> <li>• გამომავალი დენის სიმძლავრის კოეფიციენტი: 0,8</li> <li>• საწვავის ავზის მოცულობა: მინიმუმ 150 ლიტრი</li> <li>• საწვავის ხარჯი: მაქსიმუმ 20ლიტრი/საათი 100% დატვირთვაზე, 11ლიტრი/საათი 50% დატვირთვაზე</li> <li>• ძრავის ტიპი: სითხით გაგრილების, ტურბო დიზელის ძრავი ელექტრონული საწვავის მიწოდების და ბრუნვის მართვის სისტემით</li> <li>• ძრავის ნომინალური ბრუნვათა რიცხვი: 1500 ბრუნი/წთ.</li> <li>• გენერატორი აღჭურვილი უნდა იყოს: ხმის ჩამშობი გარსაცმით, ძრავის გაგრილების სისტემის გამათბობლით (230ვ. 50ჰც. ნომინალურ დენზე), აკუმლატორის დამტენით.</li> <li>• გარანტია მინიმუმ 1 წელი</li> </ul> <p><b>რეზერვის ავტომატური გადამრთველი (ATS):</b></p>	<p>1 ცალი</p>

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის მახასიათებელი	რაოდენობა
	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეზერვის ავტომატური გადამრთველი (შემდეგში ATS) გარე მონტაჟისთვის განკუთვნილ კარადით, რომელიც მიაწვდის არსებულ სასერვეროს ელექტროენერგიას ორი გენერატორიდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს;</li> <li>• ATS უნდა შედგებოდეს ორი კვების წყაროს შესასვლელისგან:             <ol style="list-style-type: none"> <li>1) გენერატორი N1;</li> <li>2) გენერატორი N2;</li> </ol> </li> <li>• ATS-ის ძალოვანი საკომუტაციო გადამრთველები უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც ელექტრო, ასევე მექანიკური ამძრავებით.</li> <li>• ATS-ის ძალოვანი საკომუტაციო გადამრთველები არ უნდა იყოს აღჭურვილი ელექტრომაგნიტური კონტაქტორებით;</li> <li>• ATS -ის ნომინალური სიმძლავრე არა ნაკლებ 150კვა</li> <li>• ATS -ის მუშაობის პრინციპი:              სასერვერო ოთახიდან მოსული სიგნალის მიხედვით გადამრთველმა უნდა დაქოქოს შესაბამისი გენერატორი და მიაწოდოს მისი დენი არსებული კაბელის საშუალებით სასერვერო ოთახთან განლაგებულ ფარში.              რეზერვის გადამრთველი ყოველი დაქოქვის სიგნალის მიღებისას ავტომატურად უნდა ახორციელებდეს გენერატორების დაქოქვის პრიორიტეტების როტაციას.              იმ შემთხვევაში თუ არ დაიქოქა ის გენერატორი რომლის რიგიც იყო, მაშინ რეზერვის გადამრთველმა უნდა მოახდინოს მეორე გენერატორის დაქოქვა და მისგან დენის მიწოდება სასერვერო ოთახზე.              ასეთ შემთხვევაში მან უნდა დააგენერიროს შეცდომის სიგნალი და მოგვცეს ის გამომავალ თავისუფალ კონტაქტზე.           </li> <li>• უნდა გააჩნდეს მართვის და ATS -ის მდგომარეობის ინდიკაციის ლოკალური საშუალება;</li> <li>• გარანტია მინიმუმ 1 წელი.</li> </ul>	

## საინსტალაციო სამუშაოები

- სისტემის მოწოდების ადგილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრი, ქ.თბილისი, შემსყიდველის მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრი.
- მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი საინსტალაციო სამუშაოების ჩატარება:
- ინსტალაციის განხორციელებისას უნდა მოხდეს არსებული 1000 ლიტრიანი დიზელის ავზის რელოკაცია – მობრუნება და ახალი გენერატორის მის გასწვრივ განთავსება (კონკრეტული მდებარეობები განხილულ უნდა იქნას დამკვეთთან) და აღნიშნული სარეზერვო ავზის ახალი გენერატორის საწვავის ავზთან დაერთება. არსებული მდგომარეობით საწვავის სარეზერვო ავზი გენერატორის საწვავის ავზსთან დაერთებულია ზიარი ჭურჭელის პრინციპით (ავზების მიწიდან დონეების სხვაობით), იგივე პრინციპი გათვალისწინებულ უნდა იყოს ახალი გენერატორის ინსტალაციისას და საწვავის ავზთან სარეზერვო ავზის დაერთებისას.
- ATS-ი გარე მონტაჟისთვის განკუთვნილ კარადით უნდა დამონტაჟდეს მოწოდებული გენერატორის ინსტალაციის ადგილას;
- საინსტალაციო სამუშაოების წარმოებისას მიმწოდებლის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის არსებულ სისტემასთან დაერთებისა და კონფიგურაციისთვის საჭირო გაყვანილობები და მასალები (მათ შორის საწვავი) შემსყიდველის მიერ დამატებითი დანახარჯების გარეშე.

## საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების პირობები:

- საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება უნდა ვრცელდებოდეს ცხრილი N1-ში მითითებულ კომპონენტებზე სრულად.
- საგარანტიო მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან მინიმუმ 1 წელი.
- საგარანტიო მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისში, შემსყიდველის მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრი.
- შესაძლო გაუმართაობების თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში აღნიშნული ტექნიკის ძირითადი კომპონენტების ადგილზე დათვალიერება მინიმუმ 3 თვეში ერთხელ და დასკვნის სახით დოკუმენტის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება დათვალიერების სრული შედეგი, სისტემის მოსალოდნელი გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრის გზები და ვადები.
- ტექნიკის ნებისმიერი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეაკეთოს (მწყობრში მოიყვანოს) ისინი. ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრის მიზნით ჩაანაცვლოს იმავე ან უკეთესი მონაცემების მქონე ნაწილებით, შემსყიდველის მიერ ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინებიდან ან მიმწოდებლის მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად გაუმართაობის ან მოსალოდნელი გაუმართაობის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში, თუმცა იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს. დაზიანებული დეტალის შეცვლის აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში სერვისის მხარდაჭერის პირობებზე არ მოქმედებს ცხრილი N2-ში მოცემული „გადაწყვეტის მაქსიმალური დროის“ ვადები. შეცვლილი ნაწილი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილი #1-ში მითითებული ტექნიკის მოთხოვნებს და არ უნდა ქმნიდეს საფრთხეს მის მუშაობაში.
- საგარანტიო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელი უსასყიდლოდ უნდა ახორციელებდეს ელ.გენერატორის ზეთისა და ზეთის ფილტრის გამოცვლას, ასევე ზამთრის პერიოდში გაყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფას.
- სისტემის კომპონენტის საგარანტიო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საგარანტიო მომსახურების გაწევის ვადები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილი N2-ში. საგარანტიო მომსახურების გაწევის ვადები დამოკიდებულია შესაბამის პრიორიტეტზე. პრიორიტეტების მატრიცა წარმოდგენილია ცხრილი N3. ინციდენტის პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება შემსყიდველის მიერ.



ინციდენტების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შექმნას ელექტრონული პორტალის მომხმარებელი ან გამოყოს ელექტრონული ფოსტის მისამართი. ინციდენტზე საპასუხო ქმედების და მოგვარებისთვის დადგენილი ვადის ათვლა იწყება ინციდენტის მიმწოდებლის მიერ გამოყოფილ ელექტრონულ მისამართზე მიღებიდან. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია შეთანხმებული ელექტრონული მისამართიდან მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის, სააგენტოს საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე (სააგენტოს საკონტაქტო მისამართია servicedesk@sda.gov.ge), მიღების დროსა და ინციდენტის რეგისტრაციის დროს შორის სხვაობით გამოითვლება ინციდენტის მოგვარებისათვის დახარჯული მაქსიმალური დრო.

- შემსყიდველი ვალდებულია ინციდენტის შეფასების შემდეგ, ზემოთდადგენილი კომუნიკაციის ფორმის შესაბამისად განაცხადოს თანხმობა მიმწოდებელს ნაწილის შეცვლის შესახებ წერილობითი ფორმით. ნაწილის შეცვლის ვადის ათვლა დაიწყება შემსყიდველის მიერ ზემოაღნიშნული წერილობითი დადასტურებიდან.
- შემსყიდველი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მიმწოდებლის წარმომადგენლების დაშვება სისტემის განთავსების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მივლინება ადგილზე.

**ცხრილი #2 - საგარანტიო მომსახურების გაწევის ვადები**

პრიორიტეტი	საპასუხო ქმედების დრო	გადაწყვეტის მაქსიმალური დრო	მხარდაჭერის დრო
პრიორიტეტი 1	არაუმეტეს 1 საათი	არაუმეტეს 3 საათი	24 x 7
პრიორიტეტი 2	არაუმეტეს 1 საათი	არაუმეტეს 6 საათი	24 x 7
პრიორიტეტი 3	არაუმეტეს 2 საათი	არაუმეტეს 1 სამუშაო დღე	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი
პრიორიტეტი 4	არაუმეტეს 4 საათი	არაუმეტეს 3 სამუშაო დღე	სამუშაო საათები 09.00-18.00, ორშაბათი - პარასკევი

ცხრილი N3. პრიორიტეტების მატრიცა

გავლენა	გადაუდებლობა			
	სასწრაფო	მაღალი	საშუალო	დაბალი
მონაცემთა დამუშავების ცენტრში სისტემის 80-100% მწყობრიდან გამოსვლა	I პრიორიტეტი	I პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი
მონაცემთა დამუშავების ცენტრში სისტემის 50%-80%-მდე მწყობრიდან გამოსვლა	I პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი
მონაცემთა დამუშავების ცენტრში სისტემის 20%-50%-მდე მწყობრიდან გამოსვლა	II პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი
მონაცემთა დამუშავების ცენტრში სისტემის 20%-მდე მწყობრიდან გამოსვლა	III პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი

შემსწყიდველის მიერ ინციდენტის დადგომამდე იდენტიფიცირებული საფრთხეები, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს ინციდენტი, მიმწოდებლის მიერ მხარდაჭერილი უნდა იყოს მე-4 პრიორიტეტისათვის დადგენილი ვადებში.

**მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ:**

- სასერვერო მოწყობილობებთან ფიზიკური წვდომის აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას და დაემორჩილოს სსგს მიერ დადგენილი შესვლის და სამუშაოების ჩატარების წესებს (შესვლის და გასვლის წესები, ასევე აკრძალულია მობილური მოწყობილობების და ვიდეო გადაღების მოწყობილობების გამოყენება);
- დაიცვას და არ გადასცეს მესამე პირებს განსახორციელებელი სამუშაოების, მათი ადგილმდებარეობის და შინაარსის შესახებ ინფორმაცია;

#### 4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც გაფორმდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ეწება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.*

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ 2016

წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს \_\_\_\_\_ და მეორეს მხრივ შპს „\_\_\_\_\_” (შემდგომში “მიმწოდებელი”), მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA1\_\_\_\_\_ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

##### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

##### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით \_\_\_\_\_ (CPV 31100000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) ფასების ცხრილი;
- გ) ტექნიკური პირობები.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა \_\_\_\_\_ ლარი, ყველა ხარჯის (ტრანსპორტირება და ა.შ) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი ერთეულის ფასის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე დაიცვას და დაემორჩილოს სააგენტოს მიერ დადგენილი შესვლის და სამუშაოების ჩატარების წესებს (შესვლის და გასვლის წესები, ასევე აკრძალულია მობილური მოწყობილობების და ვიდეო გადაღების მოწყობილობების გამოყენება);

ვ) დაიცვას და არ გადასცეს მესამე პირებს განსახორციელებელი სამუშაოების, მათი ადგილმდებარეობის და შინაარსის შესახებ ინფორმაცია.

ზ) არ გაამჟღავნოს საგარანტიო და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოწოდებულ მოწყობილობებზე არსებული მონაცემების შესახებ შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოპოვებული ინფორმაცია;

თ) მიმწოდებელმა შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა უნდა წარმოადგინოს მატერიალური სახით შემსყიდველ ორგანიზაციაში ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებენ \_\_\_\_\_

5.2 საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

## **6. საქონლის მიწოდების პირობები**

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში;

6.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

6.3 მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.4 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## **7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მითითება მიწოდებულისაქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და, რის შემდგომაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

## **8. გარანტია**

8.1 საქონლის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ დაუყოვნებლივ (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

8.3 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო ვადა დანართი#\_\_\_-ში მითითებული ვადების და პირობების შესაბამისად.

## **9. ანგარიშსწორება**

9.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

9.2 მიმწოდებლის მიერ საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის (ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა) შემთხვევაში შესაძლებელია

განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 70%-ის, რომელსაც შემსყიდველი გადაიხდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

9.4 ავანსის გაცემის შემთხვევაში ავანსის დაფარვა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

9.5 ავანსის გაცემის შემთხვევაში ავანსის ამოწურვამდე შემდგომი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

9.6 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში.

## **10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

10.8. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და „შემსყიდველთან“ შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

## **11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის \_\_\_\_\_, გარდა ხელშეკრულების დანართი #\_\_\_-ის \_\_\_ პუნქტით, გათვალისწინებული მუხლისა.

## **12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;
- ბ) ინფლაციის მაღალი დონე;
- გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

12.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## **13. ფორს-მაჟორი**

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### **14. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **15. სხვა პირობები**

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### **16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**

**მიმწოდებელი:**



ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

შესყიდვის ობიექტი	დიზელ გენერატორის მწარმოებელი, მწარმოებლის მიერ მინიჭებული დასახელება - მოდელი, წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ღირებულება
დიზელ გენერატორი (რეზერვის ორ წყაროიანი ავტომატური გადამრთველით და თანმდევი მომსახურებით)		1 ცალი	

**შენიშვნა: 1.** შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირების, ინსტალაციის და სხვა) და გადასახადებს (მათ შორის დღგ).

2. ფასთა ცხრილის გრაფის „**დიზელ გენერატორის მწარმოებელი, მწარმოებლის მიერ მინიჭებული დასახელება - მოდელი, წარმოშობის ქვეყანა**“ სვეტის შეუვსებლობის ან/და არასრულად შევსების შემთხვევაში, შემსყიდველი არ მიმართავს პრეტენდენტს დასაზუსტებლად, ვინაიდან ამ ინფორმაციის დაზუსტება ჩაითვლება სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებად.

1.რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში: